სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/66

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და ავარიული დამხმარე შენობების, ორი ავტომანქანის და საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის ჩამოწერის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის მიზნით შექმნილი კომისიის 2025 წლის 4 ნოემბრის №7, 3 ნოემბრის №8, 18 ნოემბრის №9, 19 ნოემბრის №10, №11, №12, 20 ნოემბრის №13 სხდომის ოქმების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2025 წლის 1 დეკემბრის №0001702975, 8 დეკემბრის №0001743142, 17 დეკემბრის №0001796450 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 23 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩამოწეროს:

- სტუ-ის მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსების ეზოში მდებარე ამორტიზებული და ავარიული დამხმარე შემდეგი შენობები: 21/1; 22/1; 23/2; 33/1; 34/1 (მდებარე: თბილისი, კოსტავას ქ.№77);
- სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ექსპლუატაციისთვის უვარგისი: ავტომანქანა გაზ3110, სახ. ნომერი MMW 970, გამოშვების წელი 2000, ძარა 0308816, ძრავა 3003654, შასი 0895622, ღირებულებით 8030 ლარი; ავტომანქანა ფორდ-სიერა 2.0 CL, სახელმწიფო ნომერი MXM 851, გამოშვების წელი 1993 (ძარის, ძრავის და შასის ნომრები არ აღენიშნება), ღირებულებით 5500 ლარი;
- სტუ-ის ადმინისტრაციის, ფაკულტეტებისა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი (საბალანსო ღირებულებით 3 080 689,72 ლარი).

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე